სსიპ კოლეჯი „ლაკადა“
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: დიანა გახარია

წევრები:
ირმა ღარიბაშვილი
ია გიგიბერია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2019)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ კოლეჯი „ლაკადა“**
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
საიდენტიფიკაციო კოდი: **242728679**
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 26 ივნისის N527 ბრძანების (ცვლილება: ბრძანება N533 – 27.06.19) საფუძველზე შექმნილმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2019 წლის 3, 4 და 5 ივლისს განახორციელა საავტორიზაციო ვიზიტი წალენჯიხის მუნიციპალიტეტ ქ. ჯვარში ავტორიზაციის მაძიებელ დაწესებულებაში - კოლეჯი „ლაკადა“ არსებული პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

2019 წლის 29 ივნისს ჯგუფი შეიკრიბა და დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი. აღნიშნულ შეხვედრაზე შეთანხმებისამებრ, ექსპერტებმა ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კოლეჯის ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია. ასევე, ექსპერტები გაეცნენ კოლეჯში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ბოლო ვიზიტის მასალებს. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს მიღებული რეკომენდაცია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგისა და ვებგვერდის შესახებ, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს ახალი ხელშეკრულების წიმუში, რომელიც წარედგიწათ ექპერტებს.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს N17 გადაწყვეტილებაში, ამავე საბჭოს 2018 წლის 11 დეკემბრის N190 გადაწყვეტილებით კოლეჯის „ლაკადა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 177-ით.

კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 21 აგვისტოს N158 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ვრცლად ასახავს დაწესებულების მიდგომას საერთო კვოტის გამოანგარიშებისთვის და თითოეულ პროგრამაზე მისაღები სტუდენტების ადგილების რაოდენობის განსაზღვრისთვის გასათვალისწინებელ ფაქტორებს, ფაქტორთა შორის კავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებას, რაც გულისხმობს სასწავლო გარემოს (მატერიალური რესურსით), პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ობიექტების დატვირთვისა და ადამიანური რესურსის შესაძლებლობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2019 წლის 30 აპრილის სამუშაო ჯგუფის (2019 წლის 25 აპრილის N04/30 ბრძანება ჯგუფის შექმნის შესახებ) სხდომის საოქმო ჩანაწერით ირკვევა, რომ ჩატარებულ კვლევებზე, აპლიკანტთა მომართვიანობის სტატისტიკურ მონაცემებსა (ერთ ადგილზე დაახლოებით ორი აპლიკანტი) და დასაქმების მაჩვენებლზე დაყრდნობით (იწარმოება პროგრამის დასრულებიდან 6 და 12 თვის შემდეგ) დაწესებულება მიზანშეწონილად მიიჩნევს სამი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას, რაც ამავე საოქმო ჩანაწერით გამომდინარეობს სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებიდან.

დაწესებულებას სურს შემდეგი სამი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ერთ მიღებაზე მითითებული სტუდენტების მითითებული რაოდენობით: „ელექტროობა“ - 15 პროფესიული სტუდენტი; „ინფორმაციის ტექნოლოგია“ - 12 პროფესიული სტუდენტი და „სამკერვალო წარმოება“ - 15 პროფესიული სტუდენტი.

ვიზიტის დასაწყისში შედგა შეხვედრა კოლეჯის წარმომადგენლებთან, ექსპერტთა ჯგუფთან საკონტაქტო პირად განისაზღვრა კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელმაც მოთხოვნილი დოკუმენტაცია წარმოადგინა მოთხოვნისამებრ ეტაპობრივად. ვიზიტის პირველ დღეს ექსპერტებმა გადაამოწმეს პროგრამა და სასწავლო პროცესის მართვასთან და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა რეგულაციებთან დაკავშირებული დოკუმენტები მატერიალურად. სამუშაო დღის ბოლოს ჯგუფის წევრებმა შეაჯამეს დღის განმავლობაში მოკვლეული საკითხები.

ვიზიტის მეორე დღეს მოხდა საერთო ფართის, სასწავლო გარემოსა და ბიბლიოთეკის შესწავლა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა შემოწმება. ასევე, შემოწმდა საქმისწარმოების წესით განსაზღვრული აქტებისა და კორესპონდენციის წარმოების დამადასტურებელი დოკუმენტები. ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმე.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ობიექტებზე ვიზიტი შედგა მესამე დღეს. ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელებსა და პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა მოდულის განმახორციელებლებს. ასევე, შედგა შეხვედრა აქტიურ პროფესიულ სტუდენტებთან.

დაწესებულებამ ექპერტებს წარუდგინა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯ „ლაკადას“ წესდება, სადაც კოლეჯის სახელწოდება შეცვლილია.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა გააკეთეს ჩატარებული სამუშაოების აწალიზი, დაწესებულების წარმომადგენლებმა მოისმინეს ჯგუფის წევრების მუშაობის შედეგად ჩამოყალიბებული მოსაზრებები და ექსპერტების მიერ მიეცათ გარკვეული რეკომენდაციები.

საავტორიზაციო ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ გარემოში. დაწესებულების წარმომადგენელებმა ხელი შეუწყვეს ექსპერტების შეუფერხებელ მუშაობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მდგომარეობა (ახალი/ არსებული)	სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	შენობა-ნაგებობების ფართი	მისამართების რაოდენობა და მდებარეობა (ერთ მისამართზე/სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში/ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში)
არსებული	84	3	17	1261,95	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი ყაზბეგის ქ N2

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☐	■
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	☐
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	☐
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☐	■
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	☐
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	☐
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	☐
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	☐
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	☐
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	☐
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	☐
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	☐
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	☐
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	☐
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	☐
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	☐
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	☐
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	□
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	□

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულების მიერ გამოცხადებულ მისია აქცენტს აკეთებს მეტად მნიშვნელოვან თემაზე, რომელიც გულისხმობს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის პროფესიული განათლების მიწოდებას მაღალ დონეზე. აღსანიშნავია, კოლეჯის გამოცდილება ამ მიმართულებით: ოკუპირებული ტერიტორიიდან კოლეჯს ყავს 16 კურსდამთავრებული, ამჟამად სწავლობს 2 პროფესიული სტუდენტი. კოლეჯს აქვს ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც 4 პირი აპირებს მიიღოს პროფესიული განათლება კოლეჯში „ლაკადა“.

პროფესიული სტუდენტების მოთხოვნების იდენტიფიცირებისა და საჭიროებების დადგენის მიზნით, კოლეჯის შენობის მესამე სართულზე, დერეფანში განთავსებულია ე.წ. „პრობლემების ხე“, სადაც სტუდენტებს ანონიმურად შეუძლიათ დააფიქსირონ თავიანთი სურვილები და მოსაზრებები, ადმინისტრაციის მხრიდან კი ხდება მათი დამუშავება და შეძლებისდაგვარად რეაგირება. მაგალითისთვის, შესაბამისი პროფილის სტუდენტების მიერ დაფიქსირდა სურვილი თეთრი ხალათების შეძენის შესახებ, ასევე გამოიკვეთა სხვადასხვა სახის ღონისძიებების გამართვის საკითხი, რაც ადმინისტრაციის მიერ იქნა გათვალისწინებული.

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.4

2019 წლის 14 მაისის N04/38 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-7 მუხლით სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია 2 წელი. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა დოკუმენტაცია, რომლის შესწავლის შედეგად ვლინდება ხარვეზი, კერძოდ: საქმისმწარმოებელმა/რეესტრის მწარმოებელმა დირექტორის მ/შ 2019 წლის 3 მაისს სამსახურებრივი ბარათით მიაწოდა ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემიდან (ბაზიდან) 2014-2017 წლებში სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების შესახებ - მიღებებისა და პროგრამების მიხედვით, სულ 38 შემთხვევა. წარდგენილი ინფორმაციის ანალიზის (სტატუსის აღდგენის შესახებ მომართვა/მოუმართაობისა და შეჩერების ვადების დაანგარიშება) საფუძველზე, დირექტორის მ/შ-ის მიერ გამოიცა ბრძანება იმ 19 პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, რომელთაც პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ მომართვის ვადა მოცემული მომენტამდე ამოწურული ქონდათ. აღნიშნული გარემოება იწვევს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-8 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის მოთხოვნის დარღვევას სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ვადაზე გვიან სტატუსის შეწყვეტის გამო.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

საჭიროა დაწესებულებამ გონივრულ ვადაში, სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით, რეგულაციები მოიყვანოს შესაბამისობაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯ „ლაკადას“ წესდებასთან.

ქვესტანდარტი 1.1

- სასურველია გადაიხედოს რეგულაციები და წარმოებული დოკუმენტები ტექნიკური უზუსტობების გამორიცხვის მიზნით (ერთ საგანთან/პირთან/პროცესთან მიმართებაში გამოყენებული ტერმინების, დასახელებების, პოზიციების დაზუსტება/ერთგვაროვნად მოხსენება; თავების/მუხლების/პუნქტების ნუმერაცია და მათი რეფერენსირების დროს გამოყენება);
- უმჯობესია გადაიხედოს რეგულაციები წესების დაზუსტების მიზნით (ჩანაწერი გახდეს მკაფიო თუ რამდენჯერ აქვს პროფესიულ სტუდენტს უფლება მოითხოვოს სწავლის შედეგების განმეორებითი შეფასება);
- მიზანშეწონილია გადაიხედოს საწარმოებთან გაფორმებული დოკუმენტები, მემორანდუმისა და ხელშეკრულების შედგენის პრინციპების გათვალისწინებით (მემორანდუმს მიეცეს მთავარ საკითხებზე ურთიერთშეთანხმების გამოხატვის სახე, ხოლო კონკრეტული ვადები და პირობები დარეგულირდეს ხელშეკრულებით; შეთანხმების საგანში ფიგურირებდეს „გაცნობითი პრაქტიკის“ მოდულის დასახელება).

ქვესტანდარტი 1.6

- ექსპერტების აზრით, უმჯობესია კოლეჯს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დამტკიცებულ დოკუმენტებს მიეცეს კონსოლიდირებული სახე, რეგულაციებში გადაფარვის გამორიცხვისა და სისტემაში მოყვანის მიზნით.

VII. დაწესებულების მისია

კოლეჯი „ლაკადა“, სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვით უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიული განათლების მაღალი დონის მიღწევას რეგიონის და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის. კოლეჯი ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებასა და დასაქმებაზე.

სტანდარტების შეფასება

1. **საგანმანათლებლო პროგრამები**

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები).საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დირექტორის მ/შ 2019 წლის 7 მაისის N04/34 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურა“, რომლის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით დირექტორს განსაზღვრული აქვს პროგრამების დამტკიცების უფლებამოსილება. პროგრამაში ცვლილების შეტანის პროცედურები ითვალისწინებს სხვადასხვა თანამშრომლების მიერ (დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი, შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, მასწავლებელი) პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიცირების უფლებამოსილებას. აღნიშნული მოთხოვნები დაცულია: საგანმანათლებლო პროგრამები - „ელექტროობა“, „ინფორმაციის ტექნოლოგია“ და „სამკერვალო წარმოება“ - შემუშავებულია ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმძღვანელობით, წარდგენილია დირექტორის მ/შ-თან სამსახურებრივი ბარათით 91900678748 და დამტკიცებულია დირექტორის მ/შ 2019 წლის 31 მაისის N04/58 ბრძანებით.

საგანმანათლებლო პროგრამებში (შესაბამისი დანართებით - სასწავლო გეგმა, მოდულები, მატერიალურ ტექნიკური აღჭურვილობა და პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი) განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიული სტუდენტების შეფასების მეთოდოლოგია. წარმოდგენილი სასწავლო გეგმები თანმიმდევრულია, გათვალისწინებულია ყველა მოდულის გავლის წინაპირობა და პროფესიული სტუდენტის დატვირთვა არ აღემატება 40 აკადემიურ საათს.

დირექტორის მ/შ 2019 წლის 14 მაისის N04/39 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი“, რომელშიც გაწერილია შეფასების პრინციპები და განმეორებითი შეფასების პირობები. სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერმა წარმოადგინა დირექტორის მ/შ 2019 წლის 24 მაისის N04/50 ბრძანებით დამტკიცებული უწყისების ფორმების მიხედვით სხვადასხვა მოდულის ფარგლებში წარმოებული შეფასების და განმეორებითი შეფასების უწყისები. დირექტორის მ/შ 2019 წლის 14 მაისის N04/38 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების წესს, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, არ ფიქსირდება გასაჩივრების შემთხვევა.

ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს რეგულაციაში მკაფიო ჩანაწერის გაკეთება თუ რამდენჯერ აქვს პროფესიულ სტუდენტს უფლება მოითხოვოს სწავლის შედეგების განმეორებითი შეფასება.

კოლეჯმა წარმოადგინა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით გაფორმებული მემორანდუმები, რომლის თანახმადაც თითოეული საწარმო გამოთქვამს მზადყოფნასა და სურვილს უზრუნველყოს სტუდენტები პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარებისათვის აუცილებელი გარემო და ინფრასტრუქტურით. ასევე ზოგიერთი მემორანდუმის საგანი გულისხმობს დასაქმებაში ხელშეწყობას. აღნიშნული მემორანდუმების ნაწილი ითვალისწინებს ხელშეკრულების ავტომატურად გაგრძელებას, მხარეთა შეთანხმებით, ნაწილი კი უვადოდ გაგრძელებას, მხარეთა შეთანხმებით შეწყვეტის შესახებ შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში. არსებული პრაქტიკის ჩვენების მიზნით, ნიმუშის სახით დაწესებულებამ წარმოადგინა მილევად რეჟიმში არსებულ პროგრამის (ზეინკალ-სანტექნიკოსი) პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკაზე შპს „ქალქამშენსერვისში“ უზრუნველყოფის დოკუმენტაცია: საწარმოსადმი მიწერილი წერილი (MES 41900416671), ბრძანება (N04/20) და საპასუხო წერილი საწარმოდან პრაქტიკის დასრულების შემდეგ.

დაწესებულებაში განხორციელებული ექსპერტთა ჯგუფის ბოლო ვიზიტის შედეგად გაცემული რეკომენდაცია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რომელიც მოიცავდა საწარმოების ერთ ჯერზე გამტარიანობის შესახებ ინფორმაციის ასახვას მემორანდუმებში/შეთახმებაში, გათვალისწინებულია შემდეგნაირად: დამტკიცებულია „საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესი“ (2019 წლის 20 მაისის ბრძანება N04/46), რაც მოიაზრებს საწარმოსთან სამუშაო ადგილზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის შეთანხმებას და სადაც აღწერილია დამსაქმებელთან მოლაპარაკებისთვის გამოყოფილი სტრუქტურული ერთეულები და მათი ფუნქციები, ასევე რა ინფორმაციას უნდა ფლობდეს პროფესიული სტუდენტი, როგორ ხდება საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგი, პროფესიული სტუდენტის შეფასება, საწარმოო პრაქტიკის შეჯამება; სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის საწარმოო პრაქტიკის ორგანიზება, რომელიც გულისხმობს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ჩართულობასა და პრაქტიკის ობიექტის გარემოს შეფასებას. ასევე შემუშავებულია კომპანიასთან გასაფორმებელი ხელშეკრულების წიმუში, რომელის ფორმა მოითხოვს სტუდენტების რაოდენობის დაფიქსირებას.

კოლეჯის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის განმარტებით, კოლეჯს აქვს 8 სსსმ/შშმ პირის სწავლების გამოცდილება, რომელთაგან 4 წარმოადგენს კოლეჯის კურსდამთავრებულს (იგულისმხება პროგრამის დასრულება დიპლომით). მიმდინარე ეტაპზე კოლეჯს ჰყავს 1 სსსმ და 1 შშმ პროფესიული სტუდენტი.

„ელექტროობა“

პროგრამა „ელექტროობა“ პროგრამა მოიცავს 4 ზოგად მოდულს მოცულობით 10 კრედიტი, 6 სავალდებულო პროფესიულ მოდულს მოცულობით - 28 კრედიტი, 4 საერთო პროფესიულ მოდულს მოცულობით - 14 კრედიტი. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - <u>საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრობაში.</u> ქართულენოვანი სტუდენტებისთვის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს **52** კრედიტი (1 წელი). არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 67 კრედიტი (1 წელი და 3 თვე). ინტერვიურების დროს „ელექტროობის“ პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მოდულების მოდიფიცირებაში მონაწილეობას იღებდნენ კოლეჯის მასწავლებლები. პროგრამის მოდულების 3.3. პუნქტში, სასწავლო რესურსების ჩამონათვალში მოდულის განმახორციელებელი მასწავლებლების მიერ გატარებულია ცვლილება, კერძოდ: მოდულში „ელექტრული და ელექტრონული პრინციპები“ სარეკომენდაციო ლიტერატურად მითითებული ინგლისურენოვანი ლიტერატურა სრულად ჩანაცვლებულია ქართულენოვანი ლიტერატურით, რომლის შინაარსი, შემოწმების შედეგების მიხედვით, ფარავს მოდულით გათვალისწინებულ თემატიკას.

ექსპერტებმა განახორციელეს ვიზიტი შპს „ენგურჰიდროსპეცმშენში“, სადაც მოახდინეს კომპანიის და პრაქტიკის ხელმძღვანელთან ინტერვიურება. მან აღნიშნა, რომ ობიექტს გაცნობით პრაქტიკაზე შეუძლია 15 და მეტი პროფესიული სტუდენტის მიღება. გასაუბრებიდან ირკვევა, რომ პროფესიულ სტუდენტებს წინასწარ უტარდებათ შრომის უსაფრთხოების საკითხებზე ინსტრუქტაჟი. პრაქტიკის ობიექტზე განთავსებულია მუშა მდგომარეობაში მყოფი ხელსაწყო დანადგარები - ტრანსფორმატორი, ელექტრული ძრავები, ამწე მექანიზმები, საბურღი დანადგარები, სატუმბი დანადგარები. სტუდენტები ეცნობიან აღნიშნულ დანადგარებს. პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტებს მიჰყვება „გაცნობითი პრაქტიკის “მოდულის განმახორციელებელი, რომელიც წინასწარ აფრთხილებს პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელს უსაფრთხოების პირობების დამატებით შემოწმებასთან დაკავშირებით.

„სამკერვალო წარმოება“

„სამკერვალო წარმოების“ პროგრამა მოიცავს 6 ზოგად მოდულს მოცულობით - 16 კრედიტი, 16 პროფესიულ მოდულს მოცულობით - 43 კრედიტი. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - <u>საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში.</u> ქართულენოვანი სტუდენტებისთვის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 99 კრედიტი (19 თვე). არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 114 კრედიტი (2 წელი).

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შემოწმდა შპს „ბე ეწ ჰაშ“ ქ. ზუგდიდში და იწდმეწარმის სახელოსნო „[redacted]“ ქ. ჯვარში.

საწარმოს წარმომადგენელთან ინტერვიურებით დგინდება, რომ შპს „ბე ეწ ჰაშ“ 2017 წლიდან თანამშრომლობს კოლეჯთან და მზად არიან მიიღონ 15 და მეტი პროფესიული სტუდენტი. საწარმოში არის ყველა ის პირობა, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტს რეალურ გარემოში პრაქტიკული უნარების გამოყენებასა და დახვეწას. საწარმოს ადმინისტრაცია კოლეჯის სტუდენტებს უზრუნველყოფს ტრანსპორტით და საკვებით. საწარმო გეგმავს ახალი ობიექტის აშენებას და მზად არიან სამომავლოდ კოლეჯთან ითანამშრომლონ.

სახელოსნოში „[redacted]“ დასაქმებულია კოლეჯის მასწავლებელი და პროგრამის ხელმძღვანელი. სახელოსნოში არის ის ბაზა, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია 15 პროფესიული სტუდენტის მიღება. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით, ირკვევა, რომ სტუდენტებს საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში არა ერთხელ ჰქონდათ შესაძლებლობა ემუშავათ კერძო შეკვეთაზე, მიეღოთ გამოცდილება და აწაზღაურება. მაგალითად: ადგილობრივი საცეკვაო ანსამბლის „სამა“ საცეკვაო კოსტუმების შეკერვა; 26 მაისისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით, ქართული ეროვნული კოსტიუმების შეკერვა.

კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. ზოგიერთი კურსდამთავრებული დასაქმდა თურქულ ორგანიზაციაში შპს. „ბე ეწ ჰაშ“. არიან კურსდამთავრებულები, რომლებიც დარეგისტრირდნენ მცირე მეწარმედ, იქირავეს ფართი, ისარგებლეს დევნილთა დასაქმების სხვადასხვა პროგრამებით, რომლის საშუალებითაც მათ შეიძინეს საკერავი მანქანა-დანადგარები და ღირსეულ კონკურენციას უწევენ ადგილობრივ გამოცდილ მკერავებს. ამ ეტაპზე კოლეჯის სამ კურსდამთავრებულს წარდგენილი აქვს ბიზნესს გეგმა და ელოდებიან დაფინანსებას დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოდან.

„ინფორმაციის ტექნოლოგია“

პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ მოიცავს 6 ზოგად მოდულს მოცულობით - 16 კრედიტი, 3 პროფესიულ მოდულს მოცულობით - 13 კრედიტი და 5 საერთო პროფესიულ მოდულს მოცულობით - 31 კრედიტი. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 60 კრედიტი (1 წელი). არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 75 კრედიტი (1 წელი და 3 თვე).

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით შერჩეულ ორ კომპანიაში განხორციელდა ვიზიტი ზუგდიდში მდებარე საწარმოებში შპს „ორდუნეტი“ და „ბესტ კოპი“. კომპანია „ორდუნეტში“ ექპერტები გაესაუბრნენ ხელმძღვანელს, რომელმაც ისაუბრა კომპანიის მიმართულების (ქსელური ინფრასტრუქტურის პროექტირება, მოწყობა და მართვა), საერთაშორისო კავშირების (Csico Networking Academy) დაფარვის არეალის და დატვირთვის შესახებ (ყოველდღიურად 10 ეკიპაჟის ობიექტზე გასვლა თითოეულზე 1-2 სტუდენტის მიმაგრების შესაძლებლობით, რაც სრულიად უზრუნველყოფს მოთხოვნილი კვოტით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების გაცნობითი პრაქტიკის შესაძლებლობას) ხელმძღვანელი ასევე აღნიშნავს, რომ კადრების გადინებისა და როტაციის გათვალისწინებით მზადაა დაინტერესებული სტუდენტები დაასაქმოს, რომელთაც (როგორც ყველა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ახალ თანამშრომელს) სამუშაოზე აყვანამდე სთავაზობს მის კომპანიაში გამოყენებულ კონკრეტულ მოწყობილობებთან მუშაობის პრაქტიკულ ტრენინგს. აღნიშნული პირი მიწვეულია კოლეჯში გაცნობითი პრეზენტაციის ჩასატარებლად „ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამის“ პროფესიული სტუდენტებისთვის.

კომპანიაში „ბესტ კოპი“ მოხდა უშუალოდ პრაქტიკის ხელმძღვანელთან გასაუბრება, რომელმაც ისაუბრა კომპანიის პროფილის შესახებ, რაც გულისხმობს მომხმარებლებისათვის პერიფერიული მოწყობილობების გამართვის სერვისით უზრუნველყოფას (პრინტერების შეკეთება, კარტრიჯების დამუხტვა).

პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი კომპანიების ჩამონათვალი

პროგრამა	პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებელი ორგანიზაცია	მისამართი	მომორანდუმის/ხელშეკრულების გაფორმების თარიღი და მოქმედების ვადა
„ელექტროობა“	შპს „ეწგურჰესი“	ქ.ზუგდიდი, რუსთველის ქ. 90.	16.02.2018წ.-დან 31.12.2019წ.-მდე
	შპს „ეწგურჰიდროსპეცმშენი“	ქ.ჯვარი, ყაზბეგის ქ. 24.	28.03.2018წ.-დან 31.12.2019წ.-მდე
	შპს „ეწერგოპროჯორჯია“	ქ.ჯვარი, ყაზბეგის ქ. 2	10.08.2018წ.-დან 31.12.2019წ.-მდე
	შპს „ ქალაქმშენსერვისი“	ქ.ზუგდიდი, დადიანის ქ. 3	15.05.2018წ.-დან 31.12.2019წ.-მდე
	შპს „თ.ბ. კაპიტალი“	ქ.ქუთისი, წიკვას ქ.	01.10.2018წ.-დან 31.12.2019წ.-მდე
„ინფორმაციის ტექნოლოგია“	შპს „ორდუნეტი“	ქ.ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 73	24.05.2019-უვადოდ
	შპს „ბესტ კოპი“	ქ.ზუგდიდი, გამსახურდიას ქ N123	20.05.2019-უვადოდ
„სამკერვალო წარმოება“	შპს „ბე ეწ ჰაშ“	ქ.ზუგდიდი, კედიას მე-2-ე ჩიხი 5	11.06.2018წ.-დან 31.12.2019წ.-მდე
	ი/მ [redacted] [redacted]“	ქ.ჯვარი, ანდრია პირველწოდებულის ქ. 94	05.09.2018წ.-დან 31.12.2019წ.-მდე

ვიწაიდან საწარმოებთან სხვადასხვა პროგრამისთვის გაფორმებულია სხვადასხვა ტიპის, სტრუქტურის და შინაარსის დოკუმენტი, ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს მისცეს რეკომენდაცია გადახედონ დოკუმენტებს, მემორანდუმისა და ხელშეკრულების შედგენის პრინციპების გათვალისწინებით (მემორანდუმს მიეცეს მთავარ საკითხებზე ურთიერთშეთანხმების გამოხატვის სახე, ხოლო კონკრეტული ვადები და პირობები დარეგულირდეს ხელშეკრულებით; შესაბამისი პროგრამებისთვის შეთანხმების საგანში ფიგურირებდეს „გაცნობითი პრაქტიკის“ მოდულის დასახელება).

ასევე, ექსპერტებმა ურჩიეს დაწესებულების წარმომადგენელს გადაიხედოს რეგულაციები დასაქმებული პირების პოზიციებისა და შემუშავებული ფორმებში/ფორმების დასახელებების წარმოებულ დოკუმენტებში (მაგ. სამსახურებრივი ბარათები, უწყისები) ერთგვაროვნად დაფიქსირების უზრუნველყოფის მიზნით.

სტუდენტებთან გასაუბრების დგინდება, რომ ისინი ინფორმირებულები არიან კოლეჯში დაწესებული რეგულაციების შესახებ, კოლეჯში ჩარიცხვამდე მათ მიიღეს დეტალური ინფორმაცია პროგრამების შესახებ (ზოგიერთი მათგანი აღნიშნავს, რომ პროფესია აირჩია დასაქმების მაჩვენებლის გამო), ფლობენ ინფორმაციას გაცდენების შემთხვევაში რა რეგულაციები მოქმედებს, იციან ბიბლიოთეკის მომსახურეობის პირობები (თუმცა აღნიშნავენ, რომ იშვიათად იყენებენ) მიეწოდებათ წინასწარ შეფასების თარიღები (აუდიტორიაში გამოკრულია სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის მიერ) და მოდულის მასწავლებელი აცნობს შეფასების ინსტრუმენტს (მაგ. რამდენი კითხვაა ტესტში, რამდენია დაწესებული ზღვარია, რა უნდა შეასრულონ რა დროში და გამოუცხადებლობის ან სწავლის შედეგების დაუდასტურებლობის შემთხვევაში დამატებითი შეფასების პირობები). სტუდენტები დადებითად აფასებენ დაწესებულებას და განმარტავენ რომ მხოლოდ რეალური სასწავლო გარემო აძლევს მათ მოტივაციას, რომ ყოველდღიურად შორ მანძილზე გადაადგილდნენ ტრასპორტით გამოწვეულ მოუხერხებელ პირობებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ექსპერტები პროფესიული განათლების მასწავლებლებს გაესაუბრნენ შესაბამისი მოდულის ფარგლებში არსებული სასწავლო რესურსის, სასწავლო პროცესში წარმოებული დოკუმენტებისა და სტუდენტების მოტივაციის შესახებ. მასწავლებლები ინფორმირებულები არიან კოლეჯში მოქმედი რეგულაციების შესახებ და იცნობენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს სასწავლო პროცესის მართვაში საჭირო დოკუმენტების წარმოების შესახებ (კალენდარული გეგმები, შეფასები ინსტრუმენტები, მტკიცებულებები და შეფასების უწყისები).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 2019 წლის 31 მაისის N04/58 ბრძანება (პროგრამების დამტკიცების შესახებ);
2. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული მემორანდუმები;
3. 2019 წლის 14 მაისის N04/39 ბრძანება;
4. 2019 წლის 14 მაისის N04/38 ბრძანება;
5. 2019 წლის 20 მაისის N04/46 ბრძანება;
6. საწარმოებში ვიზიტი;
7. პრაქტიკაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;
8. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება;
9. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრება;
10. შეფასების უწყისები.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია 2018 და 2019 წლების საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულური და საგნობრივი) კატალოგი, რომელიც მოიცავს ქვესტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო ინფორმაციას პროგრამის მიზნების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. ასევე, დასაქმების შესაძლებლობები და სწავლების ხანგრძლივობა. კატალოგში დამატებით ასევე მოცემულია კოლეჯის მისია და ისტორია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ვებ გვერდზე განთავსებული კატალოგები;
2. ბეჭდური კატალოგები.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 2019 წლის 31 მაისის N04/58 ბრძანება (პროგრამების დამტკიცების შესახებ);
2. ჩარჩო დოკუმენტები.

შეფასება:
☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 15 მაისის N04/40 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“, რომელიც ასახავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლებებსა და პირობებს. ასევე 2019 წლის 14 მაისის N04/38 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის მე-2 მუხლი განსაზღვრავს პროფესიული განათლების მიღების უფლებებს, მე-3 მუხლით რეგულირდება მობილობის პროცედურები, ხოლო მე-7 მუხლი აღწერს სტუდენტის სტატუსს შეჩერების შემთხვევებს, მე-8 მუხლი კი - სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებს. მიღებული განათლების აღიარება პროგრამებში არსებული ჩანაწერებით შესაძლებელია განხორციელდეს წინმსწრები ფორმალური განათლების აღიარების და არაფორმალური გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების გზით. 2019 წლის 15 მაისის N04/41 ბრძანებით დამტკიცებულია „არაფორმალური განათლების აღიარების წესი“, რომელიც აღწერს პირის მიერ არაფორმალური განათლების აღიარების თხოვნით მომართვის პირობებსა და პროცედურას.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ფაქტის ამსახველი დოკუმენტაცია, რაც მოიცავს სასწავლო პროცესისა და სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მეწეჯერის სამსახურებრივ ბარათსა და მის საფუძველზე გამოცემულ ბრძანებას სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ. მაგალითის სახით ექსპერტებს წარედგინათ როგორც აკადემიური მოსწრების, ასევე გაცდენების გამო სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ბრძანებები, (აკადემიური მოსწრების ჭრილში შეწყვეტის საფუძვლებია როგორც მოდულის (რომელიც წარმოადგენს მომდევნო მოდულის წინაპირობას) შეფასებაზე და დამატებით შეფასებაზე გამოუცხადებლობა, ასევე სწავლის შედეგის დაუდასტურებლობა; რეგულაცია ასევე ითვალისწინებს არასაპატიო მიზეზით ერთი თვის განმავლობაში სისტემატიურად არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო სტატუსის შეწყვეტას)

ექსპერტებმა შერჩევით გადაამოწმეს რამდენიმე პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე, განცხადების, პირადობის და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლების შემადგენლობით, განცალკევებით იწახება (ჩარიცხვის წლებისა და ჯგუფების მიხედვით) სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. არასრულწლოვანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება კანონიერ წარმომადგენელთან - მშობელთან, ხოლო პირად საქმეში იძებნება მშობლის პირადობის დამადასტურებელი ასლი და სტუდენტის დაბადების მოწმობა. გადამოწმდა აღნიშნული სტუდენტების შესახებ გამოცემული ბრძანებების მონაცემები საგანმანთლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში (evet.emis.ge), ბრძანების ასახვის ვადები დაცულია.

კოლეჯს აქვს შიდა მობილობის განხორციელების პრაქტიკა (2018 წლის აპრილი) „დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის“ და „იწფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის“ პროგრამებზე. დაწესებულების წარმომადგენელმა ექპერტებს წარუდგინა აღნიშნული პროცესის - პროგრამიდან პროგრამაზე გადაყვანის აღმწერი სრული დოკუმენტაცია, რომელიც დამუშავებულია მოდულების, სწავლის შედეგებისა და შეფასების კრიტერიუმების მიხედვით და გადაწყვეტილება გაფორმებულია ბრძანებებით.

ექსპერტებმა შეისწავლეს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევები, წარმოდგენილი იქნა სამი პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე, რომელთა პირადი განცხადებებიდან ირკვევა, რომ მათთვის სტატუსის შეჩერების საფუძველს წარმოადგენს ა) შვილის ავადმყოფობა, ბ) სხვა სასწავლებელში გადასვლა და გ) საზღვარგარეთ გამგზავრება.

2019 წლის 14 მაისის N04/38 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-7 მუხლით სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია 2 წელი. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა დოკუმენტაცია, რომლის შესწავლის შედეგად ვლინდება ხარვეზი, კერძოდ: საქმისმწარმოებელმა/რეესტრის მწარმოებელმა დირექტორის მ/შ 2019 წლის 3 მაისს სამსახურებრივი ბარათით მიაწოდა ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემიდან (ბაზიდან) 2014-2017 წლებში სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების შესახებ - მიღებებისა და პროგრამების მიხედვით, სულ 38 შემთხვევა. წარდგენილი ინფორმაციის ანალიზის (სტატუსის აღდგენის შესახებ მომართვა/მოუმართაობისა და შეჩერების ვადების დაანგარიშება) საფუძველზე, დირექტორის მ/შ-ის მიერ გამოიცა ბრძანება იმ 19 პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, რომელთაც პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ მომართვის ვადა მოცემული მომენტამდე ამოწურული ქონდათ. აღნიშნული გარემოება იწვევს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-8 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის მოთხოვნის დარღვევას სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ვადაზე გვიან სტატუსის შეწყვეტის გამო.

დაწესებულების განმარტებით, არაფორმალური განათლების აღიარების და გარე მობილობის შემთხვევა არ ფიქსირდება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 2019 წლის 15 მაისის N04/40 ბრძანება;
2. 2019 წლის 14 მაისის N04/38 ბრძანება;
3. 2019 წლის 15 მაისის N04/41 ბრძანება;
4. ზოგიერთი პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე, შესაბამისი სამსახურებრივი ბარათები და სტატუსის ცვლილების შესახებ ბრძანებები;
5. სამსახურებრივი ბარათი MES 4 1900516076;
6. 2019 წლის 15 მაისის N01/07 ბრძანება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-6 მუხლი არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას, სტუდენტთან შეთანხმების საფუძველზე სხვა პროგრამაზე გადაყვანის ან გარე მობილობის გზით. აღნიშნული მიზნებისთვის კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები, კერძოდ:

- ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯ „ჰორიზონტთან“ 2018 წლის 9 აგვისტოს გაფორმებულია 5 წლის ვადით, რომელიც სამკერვალო მიმართულებით ახორციელებს ორ პროგრამას;
- ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადთან“, რომელიც ახორციელებს შემდეგ პროგრამებს: ელექტროობა, სამკერვალო წარმოება;
- სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“, რომელიც ახორციელებს შემდეგ პროგრამებს - ელექტროობა, იწფორმაციის ტექნოლოგია;
- სსიპ-ს კოლეჯი „მოდუსი“, რომელიც ახორციელებს შემდეგ პროგრამებს შემდეგ პროგრამებს - ელექტროობა, სამკერვალო წარმოება, იწფორმაციის ტექნოლოგია;
- ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“, რომელიც ახორციელებს შემდეგ პროგრამას - იწფორმაციის ტექნოლოგია;
- სსიპ-პროფესიული კოლეჯი „თეთნულდი“, რომელიც ახორციელებს შემდეგ პროგრამებს - ელექტროობა, იწფორმაციის ტექნოლოგია;
- სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, რომელიც ამ ეტაპზე ახორციელებს ელექტროობის პროგრამას.

აღსანიშნავია, რომ მემორანდუმების მოქმედების ვადა ზოგიერთ შემთხვევაში განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების ვადით, ნაწილი კი უვადოდ. ექსპერტთა მიერ ვიზიტის დროს გადამოწმდა მემორანდუმით გაფორმებული დაწესებულებების ვებგვერდებზე განთავსებული პროგრამები, მოპოვებული იწფორმაციით ყველა დაწესებულება მიმდინარე ეტაპზე ახორციელებს სწავლებას მემორანდუმში მითითებულ პროგრამებზე.

დასტურდება (მტკიცებულება/იწდიკატორები):

1. 2019 წლის 14 მაისის N04/38 ბრძანება;
2. ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯ „ჰორიზონტთან“ გაფორმებული მემორანდუმი;
3. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადთან“ გაფორმებული მემორანდუმი;
4. სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერიასთან“ გაფორმებული მემორანდუმი;
5. სსიპ-ს კოლეჯი „მოდუსთან“ გაფორმებული მემორანდუმი;
6. ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟთან“ გაფორმებული მემორანდუმი;
7. სსიპ-პროფესიული კოლეჯი „თეთნულდთან“ გაფორმებული მემორანდუმი;
8. სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დირექტორის მ/შ 2019 წლის 15 აპრილის N04/43 ბრძანებით დამტკიცებულია „განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც ითვალისწინებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის პრინციპებს.

ექსპერტები გაეცნენ შემდეგ დოკუმენტებს:

- პარტნიორ დამსაქმებელთან კომუნიკაციის გაუმჯობესებისა და კმაყოფილების გამოკვლევის მიზნით შემუშავებულ კითხვარი და შედეგებზე დაყრდნობით გაკეთებულ ანალიზი/ანგარიში. გამოკითხვის ფორმაა - წერილობითი, კითხვარი შეიცავს როგორც ღია, ასევე დახურულ კითხვებს;
- ლექციაზე დასწრების კითხვარი, პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური შედეგების ანალიზი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის/ სტუდენტის კითხვარი და გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა კითხვარებით და შედეგების ანალიზი/ანგარიში. კურსდამთავრებულთა კმაყოფილების გამოკითხვა და დასაქმების სტატისტიკის კვლევა ტარდება წელიწადში ორჯერ დამთავრებიდან 6 თვის და 1 წლის შემდეგ;

ავტორიზაციისთვის მზადების პროცესის უზრუნველსაყოფად შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1-ში ასახულია პროგრამების განხორცილების მიზანშეწონილობა დასაქმების მაჩვენებლებზე დაყრდნობით (სამკერვალო წარმოების მიმართულებით კონკრეტული კომპანიის დასაქმებულთა 30-40% შეადგენს კოლეჯის კურსდამთავრებულები, ინფორმაციის ტექნოლოგიის კურსდამთავრებულებზე მოთხოვნა მაღალია რეგიონის წამყვან კომპანიაში, თუმცა თვითდასაქმება 70-80% შეადგენს, ხოლო ელექტროობის პროგრამის განსახორციელებლად პარტნიორი კომპანია ფარავს მუნიციპალიტეტის ყველა თემს და მოთხოვნა საკმაოდ მაღალია კონკურსის გზით ახალი კადრების დასაქმებაზე).

დირექტორის მ/შ 2019 წლის 15 მაისის N04/42 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი“, რომელიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმებსა და ინდიკატორებს. 2019 წლის 20 მაისის N04/45 ბრძანებით დამტკიცებულია პროგრამების განხორციელების შიდა მხარდაჭერისა და მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობა (ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი; პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული მასწავლებელი) და გაწერილია ჯგუფის წევრთა ფუნქციები.

აღნიშნული ჯგუფის ანგარიშიდან ირკვევა, რომ შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შეკრება იმართება თვეში ორჯერ, შეხვედრის ხანგრძლივობაა 1.5-2 სთ., სულ 2018 წელს შედგა 20 შეხვედრა, რაც გაფორმებულია შესაბამისი ოქმებით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტების შესწავლის შედეგად, ექსპერტებმა კოლეჯს ურჩიეს კოლეჯს ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

უზრუნველყოფის მიზნით დამტკიცებულ დოკუმენტების გადახედვა მათთვის კონსოლიდირებული სახის მისაცემად, რეგულაციებში გადაფარვის გამორიცხვისა და სისტემაში მოყვანის მიზნით.

დირექტორის მ/შ 2019 წლის 17 ივნისის 04/61 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის მართვის მენეჯერის 2019 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. შესასრულებელი აქტივობებიდან აღსანიშნავია პროფესიული სტუდენტების მოთხოვნების იდენტიფიცირებისა და საჭიროებების დადგენის მიზნით გაკეთებული ე.წ. „პრობლემების ხე“, სადაც სტუდენტებს, ანონიმურად შეუძლიათ დააფიქსირონ თავიანთი სურვილები და მოსაზრებები, ადმინისტრაციის მხრიდან ხდება მათი დამუშავება და შეძლებისდაგვარად რეაგირება. მაგალითისთვის, შესაბამისი მიმართულების პროფესიული სტუდენტების მიხრიდან დაფიქსირდა სურვილი თეთრი ხალათების შეძენისა და სხვადასხვა სახის ღონისძიებების გამართვისა, რაც ადმინისტრაციის მიერ იქნა გათვალისწინებული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 2019 წლის 15 აპრილის N04/43 ბრძანება;
2. 2019 წლის 15 მაისის N04/24 ბრძანება;
3. 2019 წლის 20 მაისის N04/42 ბრძანება;
4. კითხვარების დამტკიცების აქტები;
5. შევსებული კითხვარები;
6. დამუშავებული შედეგების შევსებული ფორმები;
7. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შეხვედრის ოქმები.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას უსასყიდლო უზუფრუქტით აქვს გადაცემული ფართი წალენჯიხის რაიონი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის 1. N2-ში. ხელშეკრულება რეგისტრირებულია 19/11/2008, რომელიც ძალაშია „უზუფრუქტუარის“ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად არსებობის პერიოდით (უვადო სარგებლობით).

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. #2	3136.00
	განაშენიანების ფართი	476

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

	შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი	1261,95
2	საერთო საცხოვრებლისთვის მიწის ფართი	8929.00 კვ.მ
3	მიწის ფართი	2411.00 კვ.მ
4	მიწის ფართი	538.00 კვ.მ

დასტურდება (მტკიცებულება/იწდიკატორები):

1. უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება №72 (19.11.2008)
2. 21,22.05.19 ამოწაწერი საჯარო რეესტრიდან (მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N[redacted])

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო იწვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ექსპერტების მიერ მოხდა ყველა აუდიტორიის ვიზუალური დათვალიერება - N104, 203, 204, 205, 206, 303, 304 და 307 და სამივე პროგრამის განხორციელების შესაძლებლობების შეფასება - იწვენტარის, ტექნიკური მოწყობილობების, აღჭურვილობის გადამოწმების გზით. კოლეჯის ბაზაზე განსახორციელებელი მოდულებისთვის მითითებული სასწავლო ოთახები, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მეცადინეობებისთვის უზრუნველყოფილია შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობითა და იწვენტარით, რომელთა რაოდენობა იძლევა სასწავლო პროცესის სრულყოფილად და შეუფერხებლად წარმართვის შესაძლებლობას ერთჯერადად მისაღები სტუდენტების მოთხოვნილი რაოდენობისა და მილევად რეჟიმში არსებულ პროგრამებზე აქტიური აკადემიური ჯგუფების გათვალისწინებით.

აუდიტორია N	სასწავლო გარემოს ტიპი	პროგრამა			იწვენტარის/აღჭურვილობის მიხედვით სტუდენტების რაოდენობა
		ელექტროობა	იწფორმაციის ტექნოლოგია	სამკერვალო წარმოება	
104	C			✓	15
203	A			✓	15
204	A	✓			15
205	A/B		✓		12
206	A			✓	17
303	C	✓			15
304	C		✓		12
307	B	✓		✓	15

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

აუდიტორიები და შენობის სამივე სართულის ფოიე გაფორმებულია სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პროგრამის პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ შექმნილი ნამუშევრებით.
დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ვიზუალური დათვალიერება.
2. აღჭურვილობისა და ინვენტარის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტები.

შეფასება:
☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის არსებობს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა. სველი წერტილები განლაგებულია შენობის სამივე სართულზე (პირველ და მესამე სართულზე მამაკაცებისათვის, ხოლო მეორე სართულზე ქალებისათვის). ასევე ყველა სართულზე არის სველი წერილი შშმ პირებისათვის. არის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. შენობაში არის დამონტაჟებული ცენტრალური გათბობის სისტემა (ფუნქციონირებს ქვანახშირით). დაწესებულებას ფლობს ასევე გენერატორს, რომლის გამოყენების პრაქტიკა აქვს კოლეჯს ელეტროენერგიით მომარაგების დროს არსებული წყვეტების შემთხვევებში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს „სპექტრი 2017“-თან დადებული ხელშეკრულება (ქვანახშირის) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №142 (07.11.2018);
2. ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“-სთან დადებული ხელშეკრულებ №204-1/1-12. 03.01.2012 წ და გადახდის ქვითრები;
3. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-სთან დადებული ხელშეკრულებით №3 09.01.2014.

შეფასება:
☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 14 მაისის N04/37 ბრძანებით დამტკიცებულია „ბიბლიოთეკის მუშაობის წესი“, რის მიხედვითაც გაწევრიანების მსურველმა უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის აქტი. ბიბლიოთეკარი აწარმოებს გაწევრიანებულთა რეესტრს და მომართვიანობის აღრიცხვის სპეციალურ ჟურნალს. ნიმუშის სახით ექსპერტებს წარედგინათ 2018 წლის მაისი-ივნისი-ივლისის თვეებში გაწეული სამუშაოების ანგარიში, სადაც მოხსენიებულია დაგეგმილი აქტივობებიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ბიბლიოთეკის სამკითხველო სივრცეში განთავსებულია 3 ოთხადგილიანი მერხი, 13 სკამი. 3 ინტერნეტში ჩართული ნოუთბუქი, 3 ღია თაროებიანი კარადა წიგნებისათვის, მრავალფუნქციური პრინტერი, ასლის გადაღების და სკანერის შესაძლებლობით. საერთო ფართი - 29,84 კვ.მ.

ბიბლიოთეკაში არსებობს როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული კატალოგი. განსაზღვრულია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები. ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკას ემსახურება კვალიფიციური (ბიბლიოთეკარად მუშაობის ათწლიანი გამოცდილება) პირი. ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება პროფესიულ პროგრამებში მითითებულ ლიტერატურას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამების ზოგიერთი სავალდებულო, ზოგად და არჩევით მოდულებში მითითებული ლიტერატურა. შერჩევითი პრინციპით შემოწმებული სასწავლო რესურსი დაცულია ბიბლიოთეკაში ნაწილი ბეჭდური სახით, ხოლო ნაწილი - ელექტრონულ მატარებელზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი;
2. CD დისკზე ჩატვირთული ელექტრონული სახელმძღვანელოები;
3. 2019 წლის 14 მაისის N04/37 ბრძანება;
4. გაწევრიანებულთა რეესტრი;
5. მომართვიანობის აღრიცხვის ჟურნალი;
6. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ კოლეჯი „ლაკადა“-ში აღრიცხული არის 52 ცალი პერსონალური კომპიუტერი და 45 ცალი ნოუთბუქი, აქედან ადმინისტრაციისათვის დათმობილია 17 ცალი. პროექტორი 8 ცალი; პროექტორის ეკრანი 2 ცალი, ფერადი პრინტერი 2 ცალი; A4 მრავალფუნქციური პრინტერი 9 ცალი, 3D პრინტერი -1 ცალი.

ინტერნეტ მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N1 2019 წლის 1 თებერვალს შპს „აიროპტი“-სთან მოქმედების ვადით 31.12.2019.

ცენტრში წარმოდგენილ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას N77 დომეწური სახელის სარგებლობის უფლების გადაცემის შესახებ მოქმედების ვადა ამოეწურა 2019 წლის 28 ივნისს, თუმცა დაწესებულებამ ვიზტის დროს წარმოადგინა განახლებული 2019 წლის 24 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულება N74 მოქმედების ვადით 28.06.2020.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. N1 ხელშეკრულებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;
2. N77 ხელშეკრულებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;
3. N74 ხელშეკრულებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;
4. ვიზუალური დათვალიერება;
5. ინტერნეტით სარგებლობის შემოწმება.

შეფასება:
☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებაში გაცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა მიმდინარეობს კოლეჯის დირექტორის მ/შ მიერ 2018 წლის 21 აგვისტოს N159 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესის“ შესაბამისად. ბრძანებების აღრიცხვა ხდება შესაბამისად მოწესრიგებულ სარეგისტრაციო ჟურნალში, რომელიც ექსპერტებს წარედგინათ დანომრილი, ბეჭედდასმული და ზონარგაყრილი. ასევე სარეგისტრაციო ჟურნალებში ტარდება თანამშრომლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

კოლეჯის იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის წარმოების სისტემას „e-flow“. შემოსული და გასული დოკუმენტაცია იწარმოება მხოლოდ აღნიშნული სისტემით. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში მუშაობა განსაზღვრული აქვს საქმისმწარმოებელს/რეესტრის მწარმოებელს, რომელმაც ექსპერტებს უჩვენა კოლეჯის პროფილი აღნიშნულ ბაზაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
1. ბრძანებების აღრიცხვის სარეგისტრაციო ჟურნალი;
2. ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალები;
3. 2018 წლის 21 აგვისტოს N159 ბრძანება.

შეფასება:
☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ა) დაწესებულებაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი - დამუხტული ცეცხლმაქრები. ყველა სართულზე გამოკრულია ცეცხლმაქრის გამოყენების ინსტრუქცია (ასევე გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომერი -112).

ბიბლიოთეკაში და სამკერვალო წარმოების პროგრამის C გარემოში იატაკზე, რამდენიმე ადგილას დაფიქსირდა ელექტროგაყვანილობები (ელექტროხაზები იზოლაციით არის დაფარული), რომელიც არ არის ექსპლუატაციაში. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ აღნიშნული გაუმართაობის აღმოსაფხვრელად, მოიწვია საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო სახანძრო-ტექნიკური შემოწმების მიზნით, რომლის შედეგადაც მომზადებული (აქტი N24 – 26.03.19), 2019 წლის 19 აპრილს მოწოდებული, დასკვნის საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად კოლეჯის მატერიალური რესურსების მენეჯერმა საჭირო მასალების შეძენასთან დაკავშირებით დირექტორის მ/შ 2019 წლის 24 მაისს მიმართა სამსახურებრივ ბარათით (MES 11900842990). რეაგირების სახით კოლეჯმა 2019 წლის 1 ივლისს გააფორმა სახელმწიფო შესყიდვების N84 ხელშეკრულება, რომლის მიწოდების ვადები განსაზღვრულია გაფორმებიდან 10 დღით. ამ ეტაპზე კოლეჯის ადამიანური რესურსების გამოყენებით ეტაპობრივად მიმდინარეობს სამუშაოები.

ბ) შენობაში სამივე სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია შესაბამისი სამსახურის მიერ დამტკიცებული ევაკუაციის გეგმა. შენობას აქვს საევაკუაციო გასასვლელი.

გ) პროფესიულ სტუდენტებს და კოლეჯის პერსონალს სამედიცინო დახმარების გასაწევად ემსახურება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი - მედდა. დაწესებულებაში პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით და პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებით. მედდის საკონტაქტო ნომერი გამოკრულია ყველა აუდიტორიაში. მედდა აწარმოებს ადმინისტრაციის, მასწავლებლებისა და სტუდენტების მიერ მედიკამენტებით სარგებლობის ჟურნალს. ექსპერტებს წარედგინათ მედიკამენტების განახლება/შევსების მიზნით მომზადებული სამსახურებრივი ბარათი, რომლის საფუძველზეც განხორციელებულია შესყიდვა.

დ) წესრიგის დაცვას ახორციელებს შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება (20.12.2018 ხელშეკრულება N414 მოქმედების ვადით 31.12.19 მდე)
დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ხანძარსაწინააღმდეგო და საევაკუაციო გეგმა;
2. ვიზუალური დათვალიერება;
3. ხელშეკრულება კოლეჯსა და შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს შორის;
4. სარეგისტრაციო ჟურნალი;
5. სამსახურებრივი ბარათი.

შეფასება:
☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

სტუდენტებისათვის.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებაში უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიულ სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო: სასწავლებლის შენობასთან თავისუფალი მისვლის შესაძლებლობა. არსებობს პირველ სართულზე შესასვლელი სპეციალურად მოწყობილი პანდუსი სსსმ პირებისათვის, ასევე სამივე სართულზე არსებობს ადაპტირებული სველი წერტილები. სართულებს შორის გადაადგილება შესაძლებელია შენობის ფასადზე დამონტაჟებული ლიფტით. შესაბამისად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და დაწესებულების ადმინისტრაცია. ყველა აუდიტორიის შესასვლელი მოწყობილია იმგვარად, რომ თავისუფლად მოხერხდეს სსსმ პირების გადაადგილება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:
☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
კოლეჯის ვებგვერდი ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და საკონტაქტო მონაცემები. ამასთანავე, სამართლებრივი აქტები, სტუდენტური ცხოვრების ამსახველი სიახლეები, დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული სხვადასხვა აქტივობის შესახებ განახლებული ინფორმაცია (მათ შორის გამოცხადებული ვაკანსიების არქივი). აღნიშნული ვებ გვერდი ასევე წარმოადგენს საკომუნიკაციო საშუალებას, საიდანაც შესაძლებელია ელ. შეტყობინების გაგზავნა, რომელიც გადამოწმდა ექსპერტების მიერ.

დაწესებულებამ წარმოადგინა 2019 წლის 28 ივნისს შპს „აუდიტსერვისთან“ გაფორმებული პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების ხელშეკრულება მოქმედების ვადით 2019 წლის 30 აგვისტო. ექსპერტთა ვიზიტამდე მოხდა ვებგვერდის განახლება. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილია საგადასახადო მოთხოვნა (02.07.2019).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ვებ გვერდის www.lakada.edu.ge დათვალიერება;
2. გაგზავნილი ელ. შეტყობინება და მიღებული პასუხი;
3. საგადახდო მოთხოვნა;
4. შპს „აუდიტსერვისთან“ გაფორმებული ხელშეკრულება.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას შემუშავებული აქვს 2018-2023 წლების სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს 2018 წლის 2 მარტის N1 ოქმით. გეგმაში წაჩვენებია კოლეჯის SWOT ანალიზი, სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, ინდიკატორებითა და შემოწმების წყაროებით. ასევე მითითებულია ამოცანებზე პასუხისმგებელი პირები. ასევე 2019 წლის 8 იანვრის N1 ოქმით დამტკიცებულია სამოქმედო გეგმა, რომელშიც თვეების მიხედვით გაწერილია შესასრულებელი ამოცანები, აქტივობებით, რომლებზეც განსაზღვრულია როგორც პასუხისმგებელი ასევე შემსრულებელი პირები, წაჩვენებია ინდიკატორები.

სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან. 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად არის გაწერილი წლიური ანგარიშიც. მაგალითად ხარისხის განვითარების, მასწავლებლების გადამზადების, ოკუპირებული ტერიტორიიდან სტუდენტების მიღების, ინფრასტრუქტურის განვითარების, სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობისა და პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებული აქვთ შემდეგი აქტივობები:

- 2018 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, სსიპ კოლეჯში „ლაკადა“ სამინისტროს დაფინანსებით თანამედროვე სტანდარტის 50 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი საერთო საცხოვრებლის მშენებლობის შესახებ.
- პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის მუდმივი პროფესიული განვითარების და უცხოური გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობის მიზნით 2018 წელს კოლეჯში იმყოფებოდა სენიორ ექსპერტთა სერვისის (SES) გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების პროგრამის ფარგლებში გერმანელი ექსპერტი. ვიზიტი ითვალისწინებდა სამშენებლო მიმართულების მასწავლებლებისთვის გერმანული სწავლების მოდელის გაზიარებას.

კოლეჯი, პროფესიული პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით, ჩართულია სამინისტროს მიერ საგრანტო კონკურსში - სკოლის მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარების პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც სამ საჯარო სკოლაში (წალენჯიხის 1 და 2, ჯვრის 1) განახორციელა მოკლევადიანი პროგრამები: მოზაიკის აწყობა პანოებით და ელექტრული წრედები.

პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის მუდმივი პროფესიული განვითარების შესაძლებლობის კუთხით:

- მასწავლებელთა ეროვნული ცენტრის მიერ 2018 წელს ჩატარებული იქნა ტრენინგთა ციკლი თემაზე: კურსის მე-5 მოდული -„ პროფესიული სასწავლებლების პედაგოგთა პროფესიული განვითარება“.
- კოლეჯი ჩართულია საპილოტე პროგრამაში, რომლის ფარგლებში, კოლეჯის ინგლისური ენის მასწავლებელი ჩაერთო ბრიტანეთის საბჭოს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

საზღვრისპირა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომად, კოლეჯმა შეადგინა სამოქმედო გეგმა. გეგმის მიხედვით მოხდა ვიზიტი გალის რესურსცენტრის ხელმძღვანელობასთან, სადაც განისაზღვრა ის ქმედებები, რომლითაც უნდა მოხდეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის ინფორმაციის მიწოდება ჯვარის პროფესიული კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. გალის რესურსცენტრის დაქვემდებარებაში შედის აფხაზეთის რანდენიმე საჯარო სკოლა, რომლებიც ფუნქციონირებენ ზუგდიდში, მათი რეკომენდაციით 2018 წელს კოლეჯში ჩაირიცხა 4 სტუდენტი.

იმის გამო, რომ კოლეჯი 18 კმ. მოშორებით მდებარეობს ოკუპირებული ზონის საზღვართან, კოლეჯს რეგულარულად სტუმრობს ევროკავშირის მისიის წარმომადგენლობა. ისინი ხვდებიან კოლეჯის სტუდენტებს, ადმინისტრაციას და მასწავლებლებს. კერძოდ, 2018 წელს შედგა შეხვედრები თემაზე: „ქალთა მიმართ ძალადობა და მისი პრევენციის გზები“.

დასტურდება (მტკიცებულება/იდენტიფიკატორები):

1. სტრატეგიული გეგმა;
2. სამოქმედო გეგმა;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში 2018;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დირექტორის მ/შ 2019 წლის 17 მაისის N02/12 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, ხოლო 2019 წლის 19 აპრილის N02/11 ბრძანებით განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც 2019 წლის 17 მაისის თარიღით გაფორმებულია თანამშრომელთა ხელშეკრულებები.

თანამშრომელთა პირადი საქმეების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

კოლეჯს აქვს თანამშრომლის ვაკანსიის გამოცხადების საშულებით კადრების შერჩევის პრაქტიკა, შესაბამისი ვაკანსიების არქივი განთავსებულია ვებგვერდზე. უკანასკნელად „სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის კოორდინატორის“ პოზიციაზე დაინიშნა პირი კონკურსის წესით შექმნილი სამუშაო სხდომის N1 ოქმის (04.02.2019) საფუძველზე.

დასტურდება (მტკიცებულება/იდენტიფიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

1. 2019 წლის 17 მაისის N02/12 ბრძანება;
2. 2019 წლის 17 მაისის N02/11 ბრძანება
3. კოლეჯის წესდება;
4. კოლეჯის შინაგანაწესი;
5. თანამშრომელთა პირადი საქმეები;
6. გასაუბრება.

შეფასება:
☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
მოდულების განმახორციელებლების პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. კოლეჯის მიერ შემუშავებული რეგულაციის შესაბამისად, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის პირად საქმეში იწახება წერილობითი განცხადება, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, პირადი რეზიუმე (CV), განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ცნობა შესაბამისი ორგანოდან წასამართლეობის შესახებ, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ინფორმაცია საბანკო რეკვიზიტების შესახებ და 2 ფოტოსურათი 3X4 -ზე.

პროფესიულ კოლეჯში ,,ლაკადა'' ფაქტობრივი მდგომარეობით (ბაზის მონაცემებითა და საქმისმწარმოებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით,) კოლეჯში ამჟამად ირიცხება 98 პროფესიული სტუდენტი და დასაქმებულია 22 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

საავტორიზაციოდ წარმოდგენილი პროგრამების განხორციელების შესაძლებლობა დასტურდება სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობისა და დასაქმებული განმახორციელებლების თანაფარდობით, მილევად რეჟიმში დასასრულებელ პროგრამებზე არსებული აკადემიური ჯგუფების გათვალისწინებით.

1. პროგრამა „ელექტრობაზე“ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობაა 15 სტუდენტი, პროგრამას განახორციელებს 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი.
2. პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიაზე“ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობაა 12 სტუდენტი, პროგრამას განახორციელებს 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი.
3. პროგრამა „სამკერვალო წარმოება“ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობაა 15 სტუდენტი, პროგრამას განახორციელებს 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

დასტურდება (მტკიცებულება/იდენტიფიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

1. პირადი საქმეები;
2. შინაგაწაწესი;
3. ბაზის მონაცემები;
4. გასაუბრება.

შეფასება:
☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევა და სამსახურში აყვანა ხორციელდება სსიპ - კოლეჯის „ლაკადა“ შინაგაწაწესის (სამეთვალყურეო საბჭოს 2018 წლის 31 ივლისის №3 სხდომის ოქმი) მუხლი 6-ში მოცემული პირობების მიხედვით, მასწავლებელთა შერჩევისას გამოიყენება გასაუბრება ან კოწკურსით შერჩევის წესი. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით (მუხლი 7) განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულების დადებისას (სამუშაოდ მიღებისას) წარსადგენი დოკუმენტების წუსხა. პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევა ხდება შემდეგი პროცედურების მიხედვით: კომისიის სამუშაო სხდომაზე ხდება გადაწყვეტილების მიღება პოზიციაზე კონკურსის გამოცხადების, პოზიციისთვის მოთხოვნების შემუშავებისა და კონკურსის ვადების განსაზღვრის შესახებ. ხდება კომისიის წევრების შემადგენლობის განსაზღვრა. კომისიის მიერ განიხილება შემოსული განაცხადება, ვაკანსიის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით და შედმეგ მიიღება გადაწყვეტილება.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. მასში განსაზღვრულია საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული ყველა არსებითი პირობა. მასში შეტანილია ხელშეკრულების საგანი, დასაქმებულის მიერ შესასრულებელი შრომითი საქმიანობა, მხარეთა უფლება-მოვალეობები; სამუშაო დრო და შრომის ანაზღაურება, შვებულება, შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა, წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა, დავების გადაწყვეტა, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა, ცვლილებები და დამატებითი პირობები, მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
1. შინაგაწაწესი;
2. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
3. გასაუბრება.

შეფასება:
☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

ავტორიზაციისათვის მოთხოვნილ პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჯამური რაოდენობა - 84

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	ელექტროობა (მოდულური)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 0713	52	67	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ ჯვარი ყაზბეგის ქ N2	28	30
2	სამკერვალო წარმოება (მოდულური)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში 0723	99	114	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ ჯვარი ყაზბეგის ქ N2	12	30
3	ინფორმაციის ტექნოლოგია (მოდულური)	მესამე დონე	საბაზოპროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612	60	75	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ ჯვარი ყაზბეგის ქ N2	17	24

მილევად რეჟიმში განხორციელებად პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჯამური რაოდენობა - 38

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)
1	ფილამწყობი (მოდულური)	მესამე საფეხური	ფილამწყობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040682	80	95	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ ჯვარი ყაზბეგის ქ N2	17
2	ზეინკალ-ტექნიკოსი (მოდულური)	მესამე საფეხური	ზეინკალ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040676	85	100	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ ჯვარი ყაზბეგის ქ N2	8
3	ექთნის თანაშემწე (მოდულური)	მესამე საფეხური	ექთნის თანაშემწეს მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090551	71	86	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ ჯვარი ყაზბეგის ქ N2	13

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი (2 გვერდი)

დანართი 2. პროფესიული სტუდენტების სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება შესაბამისი საფუძვლით (13 გვერდი)

01.08.2019

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____